№ 34
ოთხშაბათი, 14 თებერვალი 1896

1877—1896

ივერია

№ 34
ოთხშაბათი, 14 თებერვალი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ლირს:

თვე	მან.	კ.	თვ	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ხუთშაბათს, 15 თებერვალს, **თავადის ზაალ დავითის ძის ხერხეულიძის** გარდაცვალების მეორმოცე დღეს, 12 საათზე გარდახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიაში, ვერაზე.

ახალი ამბავი

—

*** სამეგრელო: ჩვენც, სამეგრელოს მკვიდრნიც, უზომოდ შეგვაწუხა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებამ. მისს მეუფებას არა მცირე ღვაწლი მიუძღოდა სამეგრელოს წინაშე, რომლის სამწყსოსაც შეადგენდა სამეგრელო ამ რამდენისამე წლის წინად. განსვენებულის დაკარგვით მთელმა სამეგრელომ დაჰკარგა ერთი წარჩინებული და ღრმად გამსჭვალული, ქრისტეს მცნების მქადაგებელი და მცველი მწყემსთ-მთავარი. განსვენებულის სულის მოსახსენებლად სამეგრელოს ეკკლესიებში ყოველ გან წირვა-პანაშვიდები სრულდება.

*** ახალ-სენაკი: ჩვენც მეტისმეტად შეგვაწუხა აწ უკვე განსვენებულის მწყემსთ-მთავრის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებამ. განსვენებულის გარდაცვალებით ქართველობამ დავკარგეთ ერთი ქრისტეს მოციქულივით ძლიერის სიტყვით მქადაგებელი მწყემსმთავარი, რომელმაც შესწირა თავი თვისი ერის გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას. ¦ოც - და - ათს იანვარს, ახალ-სენაკის წმიდის გიორგის ეკკლესიაში, აქაურის მღვდლისაგან გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე ადგილობრივ მცხოვრებლებისა და ინტელიგენტების გარდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები მასწავლებლებითურთ დაესწრნენ. პანაშვიდზე გალობდა ქართულად სამეგრელოს სას. სასწავლებლის მოსწავლეთა ხორო დიტო ჭალაგანიძის ლოტბარობით.

*** როგორც ქუთაისიდამ აუწყებენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს, დიდის თოვლების გამო ჯერ კიდევ მრავალი უბედურება თურმე ხდება. ასე, მაგალითად, სოფ. აგვს, ლეჩხუმის მაზრაში, რვა სახლი დაუნგრევია მოზღვევულს მიწას და ოთხი კაკი მოუკლავს; სოფელს სადემეტრაოში, ქუთაისის მაზრაში, თოვლს ერთი სახლი მოუტანია ქვეშ. ამ სახლში შემდეგ ორი მოკლული ალმოუჩენიათ და რამდენიმეც მძიმედ დაშავებული.

*** 12 თებერვალს სადგურ მარელისში გადასცდა ვაგონი ლიანდაგს და ოთხი საათი მოუნდნენ, რომ ვაგონი ისევ ლიანდაგზედ დაედგათ.

*** გუშინ, 13 თებერვალს, ხაშურსა და წიფას შუა ჩამოწვა ზვავი. სახალხო მატარებელი, რომელიც შუადღისას მოდის, ხუთის ნახევარზედ ჩამოვიდა ტფილისში.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის. უფროსი ინჟენერი ბ. ვედენევი და სხვა სამსახურის უფროსი ინჟინრები 13 თებერვალს ღამის 12 საათსა 15 წამზედ საგანგებო მატარებლით წავიდნენ შორაპნამდის გზის დასათვალიერებლად.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზას შემდეგი დეპეშა მოუვიდა შორაპნიდამ: ამ ჟამად აქეთ კარგი მზიანი დარია, თოვლი დნება. წყალს ჯერ არ მოუმატნია.

*** გამოჩენილს არტისტს ერნესტო როსსის, რომელმაც ეს-ეს არის დაასრულა გასტროლები მოსკოვში, მოსკოვის გაზეთების სიტყვით, განუზრახავს არტისტიული მოგზაურობა რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში და ტფილისშიაც გვესტუმრება.

*** პარასკევს, 16 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი სხდომაა დანიშნული. სხდომაზე განხილულ იქმნება მიმდინარე საქმეები და სამეცნიერო მოხსენებანი ა. ა. პავლოვსკისა: „შემთხვევა თავის ტვინის სიმსივნისა“; ს. პ. შახ-პარონიანცისა: „საშვილოსნოს ექიმობა“. სხდომას შეუძლიანთ გარეშე პირნიც დაესწრნენ.

*** როგორც საერო განათლების სამინიტროს გარდაუწყვეტია, შინაურს მასწავლებელს არ შეუძლიან პირველი სამოქალაქო ჩინი გამოუცდელად მიიღოს, რადგანაც კურსი შინაურ მასწავლებლობისა ამ ჩინისათვის დადგენილ პროგრამმაზე შედარებით პატარაა.

*** ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებათ წინადადება მოუვიდათ ჯეროვან სამინისტროთაგან მომავალ გვირგვინის კურთხევის გამო წარადგინონ 1-ლ მარტამდე სიები იმ მოხელეთა, რომლებიც დაჯილდოებულ უნდა იქმნან. ამ ჟამად ჯილდო ერთით და ნახევრით უფრო მეტია, ვიდრე წინა წლებში ყოფილა ნაჩვენები. („ტფ. ფურც.“).

*** ქ. გორი: თუ რომელიმე საზოგადოების წევრთა შორის არა სუფევს თანხმობა და ერთობა, არც შეუძლიანთ მიაღწიონ თავიანთ კეთილ-დღეობას და გააკეთონ სრულიად მცირე საქმე. დღეს ამისთანა საზოგადოებას წარმოადგენს ქ. გორი. აქ დიდი ხანია კეთილ-განვითარებულნი სამკითხველო—ბიბლიოთეკაში დიდს საჭიროებას გრძნობენ და ჯერაც არ გამოჩენილა იმისთანა კაცი, რომელსაც შეეძლო ეს ეთავებინა, გაეხსნა გორში სამკითხველო-ბიბლიოთეკა. მე მგონი კიდევ ბევრი ხანი გაივლის, რომ გორში სამკითხველო-ბიბლიოთეკა არ იყვეს, თუ ერთმანეთის შეცილებას თავს არ დაანებებენ და გულმოდგინედ არ შეუდგებიან ამ კეთილ საქმეს. ნეტავ როდის ვეღირსებით გორელები სამკითხველოს!

*** სოფ. ქვემო-თეკლათი, (სენაკის მაზრა): ამ თვის პირველ რიცხვებში სოფ. თეკლათში შემდეგი ამბავი მოხდა. ამ სოფლის მცხოვრებს გლეხს, გვარად გარუჩავას, წისქვილში საფქვავი ცხენით წაელო და თან თავისი შვილის-შვილი წაეყვანა. ბავშვი ცხენზე შეესვა და თითონ-კი ცხენს წინ გასძღოლოდა. რამდენიმე ვერსტი რომ გაუვლია, ამ კაცს უთქვამს ბავშვისთვის „გული მიწუხს, ბაბუ გული-“ო და იმავე წამს მიწაზედ დაცემულა. ცხენი დაბრუნდა და გაქცეულა. ბავშვს ყვირილი გაება. „არიქა, მიშველეთ ცხენი მკლავსო“. ეს ამბავი მახლობელს მცხოვრებლებს გაეგოთ, ცხენი დაეჭირათ. ბავშვს ყოველივე ეთქვა, რაც-კი მომხდარიყო. როდესაც მისულან ¦გლეხები გარუჩავა მკვდარი უნახავთ.

*** სოფ. შხეფი (სენაკის მაზრა) განუწყვეტელის წვიმებისა და თოვლის გამო აქ მიწა იძრა (გასქდა),

ფელეტონი

იესო და მდიდარი რომაელი.

(ჟ. ლემეტრისა).

I

მეცხვარეები წავიდნენ. მარიამს გულში ჩაეკრა ახლად დაბადებული იესო და ტკბილად ჩასძინებოდა; ბავშვისთვის ჩალა წაეფარებინა—არ შესცივდესო. იოსებიც იქვე იჯდა—ურმის თვალზედ და დედა-შვილს შესცქეროდა. თენდებოდა. მკრთალი ნათელი ეფინებოდა არე-მარეს.

უცბად ვიღაც კაცი შევიდა ფარეხში და იოსებს მივარდა:

— შენ აქ რა გინდა?!.

იოსებმა რაღაც წაილუღლუღა. უცხომ პასუხი არც-კი მოისმინა და განაგრძო:

— მე ვარ მუციუს ნაზიკა; ეს ფარეხი ჩემი საკუთრება არის!..

იოსები ზრდილობიანად ფეხზედ წამოდგა, თითით მშობიარე აჩვენა და აუხსნა—შუალამე იყო, უბინაოდ ვიყავით და რადგან ამ ქალს დრო მოუვიდა, რა გაეწყობოდა—სხვის საკუთრებას შევეხეთ... მაპატივე, მით უფრო, რომ ფარეხის კარი ღია იყო, უპატრონოსა ჰგავდა უფრო... მგონი საიმისო არა დამიშავებია...

— ეგ ძალიან კარგი, მაგრამ მთხოვდი მაინც, ნება დამერთო, განაგრძო ნაზიკამ.

— მერე სად უნდა მეპოვნე? შესწუხდა იოსები, რომ არ გიცნობდი?

— ეგ ჩემი საქმე არ არის! უნდა მოსულიყავ და ნება გეთხოვნა. მაგრამ ეხლა რაღა გაეწყობა? რაკი აქა ხართ, იყავით, ვიდრე საჭირო იქნება.

— მადლიანი ბრძანებულხარ, ბატონო, და იცოდე არც ინანებ, რადგან ეს ბავშვი მესსია არის, რომელმაც ებრაელნი უნდა იხსნას.

— ეგ მე არ შემეხება, მიუგო ნაზიკამ, მე რომაელი მოქალაქე ვარ! მშვიდობით! და თავის გზას გაუდგა. მაგრამ კარებში გაჩერდა და შემოსძახა:

— კიდევ გეტყვი, უნდა გეთხოვნა, მამული ჩემია და...

—

მუციუს ნაზიკა ერთი რომაელი ცენტურიონის შვილი იყო. პალესტინაში დასახლებულიყო, ბეთლემის გზაზედ ცოტა რამ მამული ეყიდნა და საკმარისად მდიდარ კაცად ითვლებოდა. იქვე პატარა დუქანი გაეღო და ყველაფერს ჰყიდდა, რასაც-კი გამვლელ-გამომვლელნი სსაჭიროებდნენ. ცოლად ბერძნის ქალი შეერთო და რადგან მეუღლეც თავისავით მოუღალავი მშრომელი ჰყავდა, უფრო-და-უფრო აფართოვებდა თავის ვაჭრობას და შორის ქვეყნებიდამ ეზიდებოდა საქონელს. ამასთან რიგიანი კაცი იყო, წესისა და რიგის მიმდევარი და კანონების თაყვანისმცემელი.

—

თორმეტი წლის შემდეგ მას მერმედ, რაც ქრისტე დაიბადა, მუციუსი იერუსალიმში იყო სწორედ პასექის დღესასწაულებში. ერთ ქუჩაში მტირალი კაცი და დედა-კაცი ნახა. შესდგა, დააცქერდა და თავის სტუმრები იცნა, ის სტუმრები, რომელთაც ბეთლემის ფარეხში ბინა და თავ-შესაფარი მისცა.

იოსებს საშინელი სევდა ეტყობოდა, მარიამი ცხარე ცრემლითა სტიროდა. მიუახლოვდა მუციუსი და მწუხარების მიზეზი ჰკითხა.

— ჩვენი პატარა დავკარგეთ, შესტირა იოსებმა, ჩვენი პატარა ბიჭი. გვეგონა ჩვენებურებს გაჰყვაო, გამოვეკიდენით, ყველასა ვკითხეთ ნაცნობს და ნათესავს, მაგრამ ამაოდ. ახლა დავბრუნდით და აქა ვძებნით ამოდენა ქალაქში.

— რა გამოყრუებული ბავშვი ყოფილა! სთქვა მუციუსმა და თან გაჰყვა—ძებნას გიშველითო.

ბავშვი ტაძარში იპოვეს. შუაზედ იჯდა, გარს მწიგნობარნი შემოსხდომოდნენ, ჰალარა წვერი დაეშვირათ და განცვიფრებულნი ისმენდნენ ქრისტესაგან სამდვთო წერილის განმარტებას.

— ამ ღლაპსა ხედავთ, სთქვა მუციუსმა, ერთი ბეწვა მორცხვობა მაინცა ჰქონდეს!

შვილის დანახვაზედ მარიამს ყველა გადაავიწყდა, სევდაც, წუხილიც, მივარდა და ტკბილის ალერსით უთხრა:

— რომ იცოდე, შვილო, როგორ შეგვაწუხე მეცა და საბრალო მამაშენიც! მოვიქანცენით შენი ძებნით...

ბავშვს წარბიც არ შეუხრია. დააცქერდა დედას და უპასუხა:

— რად მეძებდით? განა არ იცით, რომ მამისა ჩემისა თან ჯერ არს ჩემი ყოფა? მარიამმა ალარა უთხრა-რა: იქით მიბრუნდა, რომ ცრემლი მოეწმინდა, თითქო შვილის პასუხმა აატირაო.

მუციუსმა-კი ვერ მოითმინა და სთქვა:

— ოჰ, რა თავხედი ყოფილა, ეს უზრდელი ესა!

—

თვრამეტი წლის შემდეგ გალილეის ზღვის პირას გავიდა ერთხელ მუციუსი და ერთი ყმაწვილი კაცი ნახა—მალალ-მალალი, გამხდარი, ჩაფიქრებული; უბრალო თეთრი ტანისამოსი ეცვა.

მიდიოდა და თან ღარიბ-ღატაკნი მისდევდნენ, ეტყობოდა უმფროსი იყო იმათი. იკითხა—ვინ არის ეს კაციო? და უთხრეს: იოსების და მარიამის შვილია... დიდი ხმა აქვს გავარდნილი—ახალს სარწმუნოებას ქადაგებს და სასუფეველსა ღვთისასაო.

— რასაო?! სასუფეველსაო? ნეტავ ეს რა უნდა იყოს? ფიქრობდა მუციუსი.

ამ დროს ერთი კაცი მივიდა იესოსთან და მოახსენა დედაშენი და შენი ძმები გიბარებენო.

— ვინ დედაჩემი? ვინ ჩემი ძმები? გაიკვირვა იესომ.

— ეხლა-კი დავრწმუნდი, რომ ის არის, სთქვა მიციუსმა, ეს უკმეხი პასუხიც კმარა, რომ ჩემს ფარეხში დაბადებული ვიცნო.

იქვე ერთ ნავში ორი მეთევზე ბადეს აკერებდა, იესო მიუახლოვდა და უთხრა:

— იაკობ და იოანე ზებედესანო, მომდევდით მე!

წამოდგნენ ორივე და გაჰყვნენ იესოს. ნავში იმათი მოხუცებული, ხელთუპყარი მამა-ლა დარჩა.

საბრალო მოხუცი, სთქვა მუციუსმა, ზედ ეტყობა, რომ სულს იქით არა გააჩნია-რა, მაშ რითი უნდა იცხოვროს? ამას ხომ მუშაობა აღარ შეუძლიან! რა უნდა ქნას ამ საწყალმა, თუ-კი შვილები აღარ დაეხმარებიან!

ამ დროს იესო თავის მოწაფეებით, რომელთ შორის იაკობი და იოანეც იყვნენ, ზღვის პირს დადიოდა და ქადაგებდა. ერთი ყმაწვილი კაცი ნახა ფრიად წეწუხებული.

— მომდევდი მე! უბრძანა მას იესომ.

— უფალო, მიუგო ყმაწვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელზედაც, რამდენიმე მოსახლე სახლობს. მცხოვრებლები დიდს ფიქრსა და საგონებელში არიან ჩავარდნილი. ალარ იციან გადასახლდნენ თუ არა, რადგანაც მოსალოდნელია რაიმე უბედურება მოხდეს.

*** იქიდამვე: თებერვალიც იანვარს ბანს ეუბნება. მეტად ცუდი ამინდებია, კარში ვერ გავსულვართ. ამის გამო ყველა მეტად შეწუხებულია. საქონლისათვის საკვები არავის აქვს და ლამის მთლად გაუწყდეთ. დღესაც ბევრია უსაქმლობით დახოცილი...

*** კაცხის საზოგადოება, (შორაპნის მაზრა): ჩვენკენ 2—3 ალაბი თოვლი მოვიდა. საკვები საქონლისა გაძვირდა. არც შეშა ჰქონიათ დამზადებული მცხოვრებლებს საზამთროდ და ამისათვის დიდს გაჭირვებაში არიან. თოვლმა სახლები ჩამტვრია თითქმის ყველა სოფლებში.

ჩვენის ძვირფასის მწყემსთ-მთავარის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდავიხადეთ ვარძიის ეკკლესიაში.

*** დ. ძველი სენაკი: ამ თვის 2-ს ადგილობრივ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელ ქ. ქავთარაძის თაოსნობით მოსწავლე ყმაწვილების მიერ გამართული იყო სალიტერატურო საღამო. პატარა მოსწავლეებმა მშვენივრად წაიკითხეს ქართული და რუსული ლექსები, იმღერეს სხვა-და-სხვა სიმღერები, ბოლოს გაიმართა ცეკვა თამაში და ყმაწვილებს დაურიგდათ საჩუქარი. საღამომ კარგათ ჩაიარა.

ავდრობის გამო საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

*** ქრისტოფორეს (კავკავის მაზრა): ეს ერთი თვეა, რაც აქ ერთგვარი ავადმყოფობა მძვინვარებს. ავადმყოფები სჩივიან მარცხენა ფერდის ტკივილს, თავის ტკივილს, ახველებთ და ხან-გამოშვებით სიცხე აქვთ. ამ უცნაურმა სნეულებამ ბევრი იმსხვერპლა, ასე რომ დღეში ორი-სამი მიკვალებულია; ავადმყოფობა მოხუცებულთ უფრო ეტანება. სამწუხაროდ აქაურნი მცხოვრებნი ექიმის მოწვევას მეტად ერიდებიან.

*** იქიდამვე: 5-ს თებერვალს ქრისტოფორეს სოფელში მცხოვრები გიორგი ბიტანოვი, ს. სალუგარდანს შინავალიყო. იქვე ახლოს თავისს ბიძასთან შესულიყო თოფის სათხოვნელად, მაგრამ სახლში არავინ დახვდომოდა, პატარა ყმაწვილების მეტი. უკან რომ გამობრუნებულიყო, იქვე სახლის ყურეში თოფი დაენახა, აედო ხელში და სინჯვა დაეწყო გატენილია თუ არაო; ჯერ სული ჩაებერა თოფში და მერე თოფიდამ ზუმპა უნდა ამოეძრო; ამ მოძრაობაში გავარდა თურმე თოფი და საწყალს პირში მოხვდენოდა ტყვია. საბრალომ იქვე დალია სული.

*** ს. ერედვი, (გორის მაზრა): გარდა იმ ვაი-ვაგლახისა, რომელიც წარსულმა წელმა მოგვაყენა—თითქმის ნახევარი ხალხი უხნავ-უთესი დავრჩით, უსაფქვავო, უშეშო განუწყვეტელის წვიმებისა გამო, ახალმა წელიწადმაც არ მოგვიტანა არაფერი კარგი. ეს ათი თორმეტი დღე მეტია, რაც თოვლს; შეჰკრა თითქმის ყველგან გზა, ასე რომ ერთურთთან მისვლაც-კი გასაჭირია. გავიხანაგეთ რაც ღობეები გვებადა და სულ ერთიანად გადავჩეხეთ ხეხილი ვენახებში, რადგან ტყეში წასვლა ყოვლად მოუხერხებელია, ისეთი დიდი თოვლი ძევს. ამ ამინდმა, ესე იგი თოვლმა და ქარაშოტმა ამ დღეებში ერთი უბედურება მოახდინა. ერთს გლეხს, გვარად ვასო ქოქოშვილს, ნათესავები ეწვივნენ და როგორც ბასპინძლის რიგია ქართველურად კარგად დაუხვდა. სტუმრები წავიდნენ და ქოქოშვილმა გზა გაუთავაზა, გააცილა; მაგრამ განვლო ხუთმა-ექვსმა დღემ და ალარ დაბრუნდა შინ. მოხუცებულმა დედამამამ და ახალგაზდა ცოლმა შექნეს წუხილი, გაგზავნეს კაცები ნათესავებში და არსად არ ალმოჩნდა. როდესაც დაწყნარდა ამინდი, სოფლიდამ წავიდნენ თხუთმეტიოდე კაცი და კარგა ხნის ძებნის შემდეგ საბრალო ქოქოშვილი იპოვნეს თოვლში გათოშილი. ქოქოშვილი იყო ოცდა თერთმეტის თორმეტის წლის ვაჟიკაცი, ჯან-ღონით სავსე და მარჩენელი მოხუცებულის მშობლებისა, ახალგაზდა ცოლისა და სამის ქორფა შვილისა. მრავალ სხვა სოფლებიდამაც ეძებენ დაკარგულებს და რა ალმოჩნდება, ჯერ არ ვიცით.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

ᲥᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘ (გორის მაზრა): დეკემბრის რიცხვებში „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ ჩვენ სოფელში აბარებენ სკოლის გამართვას, რისთვისაც ჩვენებური მამასახლისი თ. ს. ერისთავი ეპარქიალურ სამმართველოს შემწეობასა სთხოვდა. დღეს ეს საქმე კეთდება. საეპარქიო სამმართველოს ჭქონია სჯა ჩვენს სოფელში სკოლის გახსნაზედ და გადაუწყვეტია უთუოდ გახსნან სკოლა. მხოლოდ მოუწერია მამასახლისისათვის, რომ თავის მხრივ სოფელი რა შემწეობას მისცემს წარმოუდგინოს მას. მამასახლისმა წარუდგინა სოფლის პირობანი, რომ სახლს, მასწავლებელს სკოლისთვის და შეშას სოფელი იკისრებს, მხოლოდ საჭირო იქნება მასწავლებლის ჯამაგირი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქარალეთს სკოლა ეღირსება მალე.

ძველი წელიწადი საუბედურო იყო ჩვენთვის; მოდიდდნენ წყლები და მრავალი ნათესი გაგვიოხრეს, გზები წაგვისდინეს, სიდები დაგვინგრიეს და კვნასებს, სანა-კი მოსვდა, სეირი არ დაუყარა. ახლა დადგება გაზაფხული და ერთს თვეს ვერ გავაკეთებთ ამ სიდებს. მუშობა იქით იყვეს, ახლო ტყე არა გვაქვს, რომ სიდებისათვის ხე და მასალა მოვიტანოთ. ცხადია, ან უნდა ფული გაიწეროს ჩვენში, ან საცოდაობით მოტანილი ვისაც თითო ხე გვაბადია, მოგვტანონ და სიდები გაკეთონ. ჩვენ გზაზედ დაიარება ოროლი დილიჟანი ცხინვალამდის; სწორედ, საკვირველია, რომ ისინი აგერ ამდენი წელიწადია დაიარებიან ჩვენგან ნაკეთებს სიდებზედ და ერთხელ ერთი ხით მაინც არის არ შეგვეწევიან. კარგი იქნება წრეულ მაინც შეგვეწევნენ.

არც ამ ასალმა წელიწადმა დაგვაყარა გეთილი. ჩამოთოვლა და შეგვეკრა გზა ბაზრისაკენ; პატარა ან ბზეს ჩავიტანდით გასასყიდად, ან შინაურ ცხოველებს, რომ ორიოდ გროში აგვეღო, მაგრამ სად რა? ვერაფერს გამოვრჩით და უსაღსრობა გვაწუხებს. ღვინოც არ მოგვიგია წრეულ და არ ვიცით, როგორ გამოვალთ გაჭირვებიდამ ამ წელიწადს.

მზე-ჭაბუკი.

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

დიდის სიამოვნებით წაიკითხავს ყველა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის განცხადებას, ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში დასტამბულს. დასავლეთ საქართველოს მარშალი იწვევს თავადაზნაურთ 25 თებერვლისთვის საგანგებო კრების მოსახდენად, რომელმაც დაზარალებულთ დახმარების საქმე უნდა განიხილოს.

უეჭველია, თავად-აზნაურობა სრულის თანაგრძნობით მიეგებება ამ მოწოდებას და ისეთის ყურადღებით განიხილავს საგანს, როგორიც შეჰშვენის ამ ძნელს საქმეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თავად აზნაურობა კარგად გამოარკვევს და მოაწყობს დახმარების საქმეს. როგორც განცხადებიდან ცხადად სჩანს, საგანგებო კრებას სახეში ეყოლება არა მარტო დაზარალებული თავადაზნაურობა, არამედ საზოგადოთ ყველა დაზარალებულნი, ყველა გაუბედურებულნი წარსულის ნიაღვრებისა და ახლანდელ დიდ თოვლიანობისაგან. მეტად სასიამოვნოა, რომ თავად-აზნაურობას განუზრახავს ხელი მიაწვდინოს და იზრუნოს ყველასათვის წოდების განურჩევლად!

ექვი არ არის, საგანგებო კრება სავსებით განიხილავს საგანს და შეიმუშავებს შესაფერს პროგრამმას დახმარებისას. მაგრამ ჩვენ გვსურს მაინც აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი გარემოება. თუ თავად-აზნაურთა კრება გარდასწყვეტს, რომ ესა და ეს ვითხოვოთო, ესა და ეს შუამდგომლობა წარვადგინოთო და ამით ჩასთვლის თავისს საქმეს დასრულებულად, არა გვგონია რომ მარტო ეს საკმაო იყოს.

ქვეყანას ისეთი დიდი უბედურება ეწვია, რომ შემთხვევითი დახმარება ცოტაა, საჭიროა ხანგრძლივი და მრავალნაირი დახმარება. ამიტომაც კარგა ხანია ჩვენს საზოგადოებაში ლაპარაკობენ კომიტეტის დაარსების საჭიროებაზე. კომიტეტი შეაერთებს საზოგადოებისა და ადმინისტრაციის ძალას და მაშინ უფრო ნაყოფიერი, უფრო ენერგიული დახმარებაც იქნება უთუოდ. საჭიროა კრებამ ამ მხარესაც მიაქციოს ყურადღება და იზრუნოს კომიტეტის დაარსებისათვის, რაშიაც მას ხელს შეუწყობს უთუოდ ქალაქის თვით-მართველობა, სხვა დაწესებულებანი და ქუთაისის ინტელიგენციაც.

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲛᲖᲦ. ᲧᲕᲔ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

1894 წ. აპრილში, ქუთაისში დაარსდა საურთიერთო ცეცხლისაგან ქონებათა დამზღვევი საზოგადოება. ქუთაისრომ ჭკვიანი და ფრთხილი კაცი ყოფილა!

—

სწორედ ამ დროს შეატყობინეს მუციუსს—სიმამრი მოგიკვდაო. მაშინვე გზას გაუდგა. მიცვალებულს ცოტა რამ ნახნავი დარჩა და ერთი ფარა ღორი... მივიდა მაგრამ უცნაური რამ უამბო მეღორემ და მეღორეს კიდევ მთელი სოფელი დაემოწმა: ამ რამოდენიმე დღის წინად ვიღაც იესომ ღორებს მავნე სული დაურია და მთელი ფარა ზღვაში გადალუპაო. მავნე სული აქამდე ერთ აქაურ მათხოვარაში ბუდობდა და რადგან იესოს იმის განკურნება უნდოდა,—მისგან განდევნა და ღორებს დაურიაო.

— აი შეარცხვინა ღმერთმა! შეჰყვირა მუციუსმა, ვიღაც გალილეველი ჯადოსანია—ორასი დრაჰმა მეტი მაზარალა! მოდი ეხლა შენა და... რომ ვუჩივლო, იტყვის— ღორები რომ ზღვაში დაიღუპნენ, ჩემი რა გარასახადიაო! დიდი ქლესა რამ არის! მერე სხვაგანაც გამიგონია და: თუ ერთი გადავარდა, მთელი ფარაც თან მიჰყვებაო... ღორისთანა უტვინო ხომ არა იქნება რა! ეჰ, ნეტავ რა დავუშავე, ვიღაც წინასწარმეტყველია; მეკი ლამის ბოლო მომიღოს და!

ი. მ—ანი.

(დასასრული ხვალ).

კაცმა, მამაჩემი გარდაიცვალა, ნება მიბოძე, ჯერ უბედური დავასაფლავო და...

— დეე მკვდარს მკვდრებმა უპატრონონ, შენ-კი წადი და სასუფეველი მღვთისა აუწყე ქვეყანას.

მე-კი მეგონა—კაცმა უწინარეს ყოვლისა მიცვალებული მამა უნდა დაასაფლავოს და მერმე სხვა იზრუნოს, ფიქრობდა მუციუსი. ამ დროს იესოს ხმა მოესმა.

— ჩემს გამო ძმამ სასიკვდილოდ განიმეტოს ძმა თვისი და მამამ შვილი თვისი. წინააღუდგნენ შვილნი მშობელთა თვისთა....

— ახირებული ფანატიზმია! ბრაზობდა მუციუსი. სწორედ გიჟები ვართ ადამიანიშვილები, თორემ ასე როგორ გაიტაცებდა ეს სულელური ქადაგება ამოდენა ხალხს!

—

ცოტა ხანს შემდეგ ერთმა მეგობარმა ქორწილში დაჰპატიჟა მუციუსი. იესო და დედა-მისიც მიწვეულთა რიცხვში იყვნენ. სუფრაზედ მუციუსი და მარიამ ერთად ისხდნენენ.

მასპინძელს ღვინო შემოჰკლებოდა. მარიამმა უთხრა იესოს:

— ღვინო აღარა აქვთ, შვილო.

— რა არს შენდა და ჩემდა, დედაკაცო! შეუტია იესომ. არღა მოწეულ არს ჟამი ჩემი.

მარიამს თვალთ ცრემლი მოერია და თავი ჩაღუნა.

— განა მშობელ დედას ასე შეუტევენ? ბრაზობდა მუციუსი. არა! ამ გულ-გაქვავებულმა არც ნათესაობრივი გრძნობა იცის და არც თავის ოჯახისადმი სიყვარული.

ის რომ ამ ფიქრებში იყო გართული, იესოს ებრძანებინა ექვსი ქვევრი წყალით აავსეთო და რომ ამოეღოთ, ამ ქვევრებიდგან წყალის მაგიერ სამაგალითო ღვინო ამოსულიყო.

— ხედავთ რა თვალთმაქცი ყოფილა, გაიკვირვა მუციუსმა!... არა, რა მარჯვედ მოაგვარა და! უთხრა ლიმილით მარიამს, მამაჩემისაგან გამიგონია დიდებულ რომში სირიელები ხშირად ჩადიოდნენ ამგვარ ოსტატობასაო.

ძაან დაღიეს ის ღვინო. იმდენი სვეს, რომ მოეკიდათ, სუფრა აირია, ჩხუბი ატყდა ერთი კრივი და თავის მტვრევა. მეორე დილას, მზე რომ ამოვიდა, სტუმრები ისევ ისე სუფრის პირას ეყარნენ მთვრალები.

— კარგი მოგვივა, კარგი წინასწარმეტყველი შენ იყო! ფიქრობდა მუციუსი. არა, ახალს სარწმუნოებას ვქადაგებდე და ხალხს კი ლოთობას ვასწავლიდე!

—

ერთხელ მუციუსმა მტრედები წაასხა იერუსალიმს გავასყიდად. ურემზედ გალიები დაუდო და გზას გაუდგა. ქალაქს რომ მიუახლოვდა, ერთ ყანაში იესო ნახა თავის მოწაფეებითურთ: თავთავს გლეჯდნენ, ხელითა ფშვნეტდნენ და სჭამდნენ.

ებრაელს—მგზავრს მიუბრუნდა მუციუსი და უთხრა:—ვერ უყურებ ამ მაწანწალას, როგორ აოხრებს ყანას!

— ოჰ, ეგ ულვთო! ეგ ურჯულო ეგა! შეჰყვირა ებრაელმა. ვერა ხედავთ, რას სჩადის დღევანდელ დღეს?! დღეს ხომ შაბათია!!

— გინდ შაბათი იყოს, გინდ ორშაბათი! ყანას კი თავისი დაემართება და!

— როგორ გეტყობა, რომ უცხოელი ხარ, მიუგო ებრაელმა, მე იმასა ვჩივი, რომ შაბათის ძალი გატეხა, თორემ ერთ მუჭა პურზედ ლაპარაკი რა საკადრისია. აკი გვიწერს მოსე წინასწარმეტყველი: სხვის ყანაში თავთავს მოგლეჯდე და სიმშილს მოიკლავდეო.

— ვაიმე, ვაიმე! ვინც გაიარ-გამოიაროს რომ ყველამ... ერიჰა! თქვენმა მოსემ, ეტყობა, საკუთრებისა არა იცოდა რა!

—

მეორე დღეს, ეკკლესიის გალავანში, საშინელი არეულობა დახვდა: საქონელი ძირს ეყარა, დაზგები დამტვრეული, სასწორი დაწყვეტილი. შუა გალავანში იესო იდგა, ხელს იქნევდა და ყვიროდა:

— ჩემი სახლი ლოცვის სახლია და თქვენ-კი ქურდობის ბუდედ გაგიხდიათ!

ოჰო, ოჰო! სთქვა მუციუსმა: ურემი გავაბრუნო, თორემ მე რომ მაგას ვიცნობ, მეც მაზარალებს. მოდი და ნუ იტყვი: იმას რა, ჩვენ რომ ჩვენთვის ვაჭრობდეთ? მაგრამ რას იზამ, რომ ამ წინასწარმეტყველს არა სწამს კერძო საკუთრება!

—

რამდენიმე საათის შემდეგ ერთ მოედანზედ ნახა იესო. გარს ფარისეველნი შემოხვეოდნენ და ესაუბრებოდნენ. უნდოდათ ეთქმევინებინათ რამე, შეცდომაში გაებათ როგორმე. ჰკითხეს:

— უნდა ვაძლიოთ კეისარს ხარაჯა, თუ არა?

— ფული მაჩვენეთ, მიუგო იესომ.

— აი, უფალო.

— ვისია ეს სურათი და ზედ წარწერა?

— კეისარისა.

— მიეცით კეისარს კეისარისა...

ძლივს კარგი სიტყვა არ მოუვიდა, სთქვა გახარებულმა მუციუსმა, ძლივს!

მაგრამ ჩაფიქრდა:

არა, კარგი სიტყვა არც აქა სთქვა, სწუხდა მუციუსი: აგრე რომ იყოს, სული ყველას წამართმევენ, რასაკი იმპერატორის სახე ახატია, ხომ დავნელდი და დავიღუპე!.. ხედავთ როგორ დაგვცინა! საშინელი რამ უნდა იყოს ი კაცი! იმისთანა რევოლიუციონერი მგონი ჯერედ ღმერთს არ გაუჩენია! მით უფრო საშინელია,

სის საზოგადოებამაც, როგორცა სჩანს, შეიგნო დაზღვევის ამ ფორმის უპირატესობა მეორე ფორმასთან შედარებით, რომელსაც აქციონერულს ანუ კომერციულს უწოდებენ. დაზღვევის პრინციპი, როგორც ყველამ კარგად იცის, ის არის, რომ ის ფული, რომელიც დამზღვევთ შემოტანილ პროცენტებიდგან (პრემია) შედგება, რომ ეს ფული აღემატება ხოლმე დაზარალებულთ დასაკმაყოფილებელ ფულს. რომ ეს ასე არ იყოს, ხომ ვერც აქციონერული საზოგადოება შესდგება, რადგანაც ტყუილად ფულს არავინ არ გააჩერებს. პირიქით ეს მეტი ფული, ან მოგება იმდენად დიდია, რომ ეგრედ წოდებული რანტიები უარ-ჰყოფენ სახელმწიფოს უეჭველს $3^1/_2$ და $4^0/_0$ და თავიანთ ფულს სააქციონერო საზოგადოებებს ანდობენ, მიუხედავათ იმისა, რომ არცერთს ამ უკანასკნელთაგანს არ შესწევს ისეთი ძალა, როგორც სახელმწიფო ბანკს. მართლადაც, რომ დავაკვირდეთ სააქციონერო საზოგადოებების დივიდენდებს, თითქმის არც ერთი მათგანი არ ჩამოსულა რვა და შვიდ პროცენტზედ ქვეით, ხოლო ხშირად მოხდება, რომ 10 და მეტ $^0/_0$ იძლევიან. აქ გავიხსენოთ ის, რომ დივიდენდების დარიგებამდე სააქციონერო საზოგადოება თავდაპირველად აკმაყოფილებს დაზარალებულთ, შემდეგ თავის მოხელეთ (დირექტორებს და სხვ.), იტოვებს კიდევ რამოდენიმეს სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (საკანცელარიო ხარჯი, პუბლიკაციები და სხვ.) და მხოლოდ იმ ფულს, რაც ამ ხარჯს გადარჩება, ურიგებს აქციების პატრონთ. ვგონებ, ცხადათა სჩანს აქედგან, რომ ის გარდასახადი, რომელსაც დამზღვეველი იხდის, დიდ გარდასახდს უნდა შეადგენდეს, როდესაც ყველა საჭიროებათა დაკმაყოფილების შემდეგ კიდევ დიდი ფული რჩება და დივიდენდებათ ურიგდება აქციონერებს, დიაღ ეს გარდასახადი დიდია და მასთან მისი დაკლება შეუძლებელია: შემოაკლებთ გარდასახადს, შემცირდება დივიდენდი, ხოლო დივიდენდის შემცირება აფრთხობს კაპიტალს. ამ გარდასახადის სიდიდემ გამოიწვია და დაბადა ცეცხლისაგან და ზოგ სხვა უბედურებისაგან დაზღვევის ახალი ფორმა, რომელსაც „საურთიერთოს“ ეძახიან, და რომლის დედა-აზრს შეადგენს ის, რომ რამოდენიმე პირი (მაგალითად, რომელიმე ქალაქის მკვიდრნი) ეკვრიან ერთი მეორეს პირობით, გამოიღონ გაწერილი მათზედ ფული და ამ გვარად შემდგარ თანხიდან უზღონ ზარალი მას (თავიანთ შორის, რასაკვირველია), რომელსაც ეწვევა უბედურება. რასაკვირველია, გარდასახადი გაწერილია პროპორციონალურად იმ ფასისა, რა ფასშიაც დაზღვეულია ქონება. ყველა ამას გაძღოლა და თადარიგი უნდა: უნდა ის ორგანო, რომელიც სააქციონერო საზოგადოებაშიაც არის, ეგრედ წოდებული გამგეობა. გამგეობაში მოსამსახურეთ უნდა დაენიშნოს რაიმე ჯამაგირი. მაშასადამე ამგვარ საურთიერთო საზოგადოებას ორ გვარი გასავალი აქვს: 1) დაზარალებულთ დაკმაყოფილება და 2) გამგეობის ხარჯი (расходы по управленію). როგორც ვსთქვით კიდევ ზემოდ, სააქციონერო საზოგადოებისათვისაც სავალდებულოა ეს ხარჯი, მაშასადამე მან მეტი უნდა გამოართვას დამზღვევთ, რომ საღივიდენდო ფულიც აიღოს. გავსინჯოთ ეხლა არის საჭირო თუ არა საურთიერთო საზოგადოებისათვისაც ამ მეტ ფულის აღება, ჩვენ ვგონებთ, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს სრულებით არ არის საჭირო, რადგან ეს მეტი ფული თუ დამზღვეველთ შეაქვთ, დივიდენდის მიმღებნიც ხომ იგინივე არიან, მაშასადამე მეტ ფულის შეტანა იგივე იქნება ამ შემთხვევაში, რომ ერთ ჯიბიდგან მეორეში ფული გადადვა. აი პირველი უპირატესობა ამ გვარ ფორმისა დაზღვევის საქმეში, უპირატესობა, რომლის ფორმულა შემდეგია: საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების პროცენტი ყოველთვის უფრო ნაკლებია სააქციონერო საზოგადოების პროცენტზე. მართალია, აქ უნდა ვსთქვათ, რომ ყოფილა მაგალითი, როდესაც საურთიერთო საზოგადოებას იმდენად შეუმცირებია ეს პროცენტი, რომ შემოსავალი ვერ ასვლია გასავალს და საზოგადოება დახურულა. მაგრამ ეს ხომ პრაქტიკული შეცდომა არის და თეორეტიულ კანონს ვერ დაარღვევს; ყოველი ამგვარი შეცდომა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ საქმეს შესწავლა უნდა და საფუძვლიან ნიადაგზე დამყარება.

იმ საურთიერთო საზოგადოებებმა, რომელნიც ფრთხილად ეკიდებოდნენ საქმეს, შემოიღეს ისეთი $^0/_0$, რომ მათის ანგარიშით შემოსავალი ცოტათი მეტი უნდა ყოფილიყო გასავალზედ (რასაკვირველია, ეს $^0/_0$-ტი ამ შემთხვევაშიაც უფრო ნაკლები რჩებოდა, ვიდრე სააქციონერო საზოგადოებაში). ეს მეტი შემოსატანი შემოღებული იყო იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ზარალი ჩვეულებრივს (ორთა შუა რიცხვით გამოყვანილს) სჭარბობს. ასეთს თავ-შენახულს საზოგადოებას, რადგან ზემოხსენებული არა ჩვეულებრივი ზარალი იშვიათია ხოლმე, კასსაში მეტი ფული რჩება და ეს ფული ყოველ წლივ თითქმის იზრდება და მატულობს. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ფული ეკუთვნის ღამზღვეველთ და ყოველ წამს შეუძლიანთ მათ გამოიტანონ ეს ფული და მოიხმარონ იგი თავის სურვილისამებრ (საქმე საზოგადოებას შეეხება და „შეუძლიათ“ ასეთის თუ ისეთის ხმის უმეტესობით—წესდებაშია მოხსენებული, როგორის—გარდაწყვეტილებას ნიშნავს). გამჭრიახი საზოგადოება ამას არ იქმს: ის აგროვებს ამ ფულს, და ერთ დღეს ეს ფული ისეთ კაპიტალად გაიზრდება, რომ მხოლოდ მისგან შემოტანილი $^0/_0$ აუდის საზოგადოების ყოველ გვარ ხარჯს, და საზოგადოების წევრნი სრულიად თავისუფალნი არიან რაიმე გარდასახადისაგან. მაგალითად რუსეთში, სადაც უკვე დაარსებულია 70-დე ამგვარი საზოგადოება, 11-ს (თერთმეტს) მათგანს მიუღწევია კიდეც საქმის განვითარების იმ წერტილამდე, რომ განუთავისუფლებიათ თავიანთი წევრები გარდასახადისაგან.

ვსთქვათ ეხლა, რომ სააქციონერო და საურთიერთო საზოგადოების $^0/_0$-ტი ერთი და იგივეა და საზოგადოდ არავითარი სხვა ზემოაღნიშნული უპირატესობა და სარგებლობა არ მიუძღვის მეორეს პირველთან; ასედაც რომ იყოს, ვგონებთ, არ უნდა იყოს სულ ერთი ჩვენთვის 1) დირექტორებად გვყავს ვინმე შტრემბერგერები, ლევენსონები, გირშმანები და ამხ., თუ ჩვენ შორისვე ამორჩეული პირები, და 2) ამ საზოგადოების ფული ტრიალებდეს და იხარჯებოდეს სადმე სხვაგან, თუ ისევ აქავე, ჩვენში.

ყველა ეს საბუთი ჩვენ მოვვყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ცეცხლისაგან ქონებათა დამზღვევ საზოგადოებისათვის საურთიერთო ფორმა უფრო სასარგებლო არის, ვიდრე სააქციონერო, ხოლო სრულებით არ გვინდა ვსთქვათ, რომ ეს ფორმა საუკეთესოა ყველა სხვა გვარ უბედურებისაგან დამზღვევ საზოგადოებისათვისაც. არის ხოლმე ისეთი უბედურება, რომელიც სჩვევია ერთ რაიმე მხარეს, ძლიერ იშვიათია მეორეში, სულ არ არის მესამეში, არც ხშირია და არც იშვიათი მეოთხეში; გარდა ამისა ეს უბედურება ისეთია, რომ ერთსა და ორს კი არ დაზარალებს, არამედ მთელს მხარეს; ყველა ამ ადგილებში, რომ დაარსდეს საურთიერთო ამ უბედურებისაგან დამზღვევი საზოგადოება,—მას აუარებელი ფული დასჭირდება პირველ შემთხვევაში (მაშასადამე $^0/_0$-ც მეტის მეტი მძიმე იქნება), მეტის მეტი პატარა — მეორეში, სრულებით არ იქნება საჭირო—მესამეში და საშუალო—მეოთხეში. ამგვარ უბედურებისაგან დასაზღვევად არსდება ხოლმე სააქციონერო საზოგადოება და ბოლო დროს შემოღებულია სახელმწიფო დაზღვევაც. დიდი რისკი და მაშასადამე დიდი კაპიტალის მოთხოვნილება—აი ის მიზეზები, რომელნიც ბადავენ სააქციონერო საზოგადოებებს ამ სფერაში. მაგალითად მოვიყვანთ მოსავლის დაზღვევას. აქ აქვს ადგილი ზემოხსენებულ მიზეზებს და ამიტომაც არის, რომ ამ შემთხვევაში საურთიერთო ფორმა უთმობს ადგილს სააქციონერო და სახელმწიფო ფორმას დაზღვევისას.

ქუთაისშიაც დაარსდა, როგორც თავში ვსთქვით, საურთიერთო ქონებათა ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება. მაგრამ ჯერ მას არამც თუ არ განუდევნია აქედგან სააქციონერო საზოგადოებები, არამედ მათთან შედარებით ძლიერ ნაკლები ქონება აქვს [დაზღვეული ($^1/_4$—$^1/_3$-მდე იმისა, რაც საზოგადოდ არის დაზღვეული აქ). მართალია, ეს საზოგადოება ჯერ ნორჩი არის—მასთან ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მის პოლისებს ჯერჯერობით ღებულობს მხოლოდ ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკი; იმედია, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიც ამ მოკლე ხანში დასთანხმდება მათ მიღებას; მაშინ არც ქუთაისის მკვიდრნი დაიგვიანებენ, რომ წევრებად ჩაეწერონ ამ საზოგადოებაში.

თუ ვისმესთვის საინტერესოა, რომ ქუთათურებმა მაინცა და მაინც სააქციონერო საზოგადოებაში დაიზღვიონ თავიანთი ქონება, ეგ თვით სააქციონერო საზოგადოებათათვის და მათ აგენტთათვის, რომელთაც სააქციონერო საზოგადოებების გაქრობასთან ჯამაგირებიც გაუქრებათ.

ძნელი იყო საქმის დაწყება, მაგრამ სადაც ერთმა ნაწილმა შეიგნო თავისი ინტერესი, იმედია, დანარჩენნიც შეიგნებენ მას და მხარს მისცემენ თავიანთ პიონერებს. ჩვენ ჩვენის მხრით ვუსურვებთ და მასთან ვუქადით კიდეც სრულს წარმატებას ამ სიმპატიურ დაწყებულებას.

ივ. ზურაბიშვილი.

21 იანვარი. 96 წ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

„ნოვ. ვრემ.“ 6 თებერვლის ნომერში დასტამბულია ნეკროლოგი ახლად გარდაცვალებულის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ნეკროლოგში მოკლედ მოყვანილია ცხოვრება და სწავლა განსვენებულის მწყემსთ-მთავრისა, მისი სამეცნიერო და სამღვდელთ-მთავრო მოღვაწეობა.

—

მაშინ როდესაც პრინცის ბორისის მართლ-მადიდებელ ეკკლესიასთან შეერთებას დიდის აღტაცებით და სიხარულით შეეგება მთელი ბულგარია, შესანიშნავია რა უთანხმოება და განხეთქილება ჩამოვარდა პრინცის ფერდინანდისა და მარიამ-ლუიზას შუა.

როგორც სოფიიდამ მიღებულ ცნობებით აუწყებენ ბელგრადიდამ უცხოეთის გაზეთებს, სიშინელი და გულის გამგმირავი ამბავი მომხდარა სასახლეში პრინცესა მარიამ-ლუიზას წასვლის წინადაო, სწერს გაზეთი „ნოვ. ვრემია.“ პრინცესას ჭსურდა პრინცი თავისთან წაეყვანა და მხოლოდ ძალით-და გამოჭგლეჯეს ხელიდამ. ესაც მხოლოდ სინოდის თავმჯდომარისა და მიტროპოლიტის გრიგოლის დიდის თხოვნის შემდეგ მოსწერდა როგორც იყო. როდესაც შემდეგ პრინცი წაიყვანეს, პრინცესას გული შეეღონდა და ორის სათის განმავლობაში ძლივს მოაბრუნესო. პრინცესა რომ სოფიაში აღარ დაბრუნდება, ამაზედ ლაპარაკი საჭიროა-კი არ არისო, ამბობენ ზოგიერთი გაზეთები; იგი ქმარს არ შეჭრიგებია და გასცილდა თუ არა საზღვარს, მაშინვე დეპეშა გაუგზავნა პაპასაო, მინდობილება, რომელიც გრავს ფორას ჭქონდა ჭერტოგ პარმისასთან, სრულიად ფუჭი გამოდგა. ჭერტოგმა უარი სთქვა პრინცის ფერდინანდის წერილის მიღებაზედაო.

იგივე გაზეთი „ნოვოე ვრემია“ სწერს:

ავსტრიისა და უნგრეთის ჟურნალ-გაზეთები, ლაპარაკობენ-რა იმის შესახებ, რომ პრინცი ფერდინანდი აღიარებულ იქმნა, მეგობრულად ურჩევენ მას ერიდოს ყველაფერს, რაც-კი შესაძლებელ-ჭოფს ავიქრებინოს ვისმე, რომ ბულგარიის სამთავრო რუსეთთან კასსალურს დამოკიდებულებაშია, ჟურნალ-გაზეთობას გული ეწყინა უფრო ბულგარიის „დამოუკიდებლობისათვის“ და ურჩევს ბულგარელთ დაიცვან იგი როგორც წმიდათა-წმიდა.

სოფიაში ძალიან კარგად იციან, რუსეთი სრულიადაც არ ფიქრობს შეესოს ბულგარიის თვითობას, რომელიც ბერლინის ხელშეკრულობის დადგენილებით მას მიენიჭა, მაგრამ ისიც კარგად იციან, თუ გენასა და ბუქარეშტში როგორ ესმით ბულგარიის „დამოუკიდებლობა“. მაგრამ დღესაც რომ ერთ თავად იმას ჩასძახიან იქაური გაზეთები პრინც ფერდინანდს, ხომ იგი უთუოდ დაიღუპება, თუ „სახელმწიფონი, რომლებიც ბულგარიას მხარს უჭერდნენ რუსეთის წინააღმდეგ, ზურგს უჩვენებენ“.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. კონსერვატიულ სენატს, რასაკვირველია, არ მოსწონს პროგრესიული სამინისტრო ბურჟუალი და ყოველივე შემთხვევით სარგებლობს, რომ თავისი უკმაყოფილება გამოუცხადოს.

რასაკვირველია, ისარგებლა ერთი შემთხვევითაც; საქმე იმაშია, რომ სამინისტრომ გარდასწყვიტა მხნედ და ენერგიულად მოჰკიდოს ხელი სხვა-დასხვა პროცესებს, რომლებსაც სკანდალის ხასიათი აქვს. ერთს ამგვარს ეკუთვნის „სამხრეთის რკინის გზების“ საქმე, რომლითაც ჩირქი ეცხებათ მრავალ დეპუტატ-ოპორტუნისტებს. რიკარმა, ეხლანდელმა იუსტიციის მინისტრმა, სამსახურში შესვლისთანავე უბრძანა გამომძიებელს რამპლერს გამოძიება მოახდინეო, მაგრამ ამან ვერ გამოიჩინა საჭირო მხნეობა, ერთგულად არ მოეკიდა საქმეს. ამიტომ რიკარმა საქმე მიანდო მეორე გამომძიებელს პუატიენს, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი და მრავალი გავლენიანი პირი მოიწვია. ამან შიშის ზარი დასცა ბევრს, ვაი თუ ჩვენამდისაც მოაღწიოს საქმემაო და ყოველი ღონე იხმარეს ეხლანდელი სამინისტროს დასამხობლად. იანვრის 29-ს მომხდარს სხდომაზედ საყვედური გამოუცხადა სენატმა სამინისტროს. ვერ მოიქეცით კანონიერად ლა-პუატიენს რომ მიანდვეთ „სამხრეთის რკინის გზების“ საქმის გამოძიებაო“. სამინისტრომ ამ შემთხვევაში ყოველივე ფორმალური მოთხოვნილება დაიცვა და თუ ერთი ბეწო რამ შეცდომა მოუვიდა, სალაპარაკოდაც არ ღირდა. რასაკვირველია, რომ სამინისტრო რადიკალების არ იყოს, ოპორტუნისტებისა იყოს, მაშინ სენატი ამას არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ ეხლა კი უნდოდა ამით სამინისტრო სამსახურიდამ გადაეყენებინა. მაგრამ ვერ მიაღწია-კი თავისს საწადელს. თუმც სენატმა სამინისტროს საყვედური გამოუცხადა და ცუდ მდგომარეობაში ჩაადგო იგი, მაინც გაიმარჯვა. პარლამენტს ხშირად გამოუთქვამს თავისი უკმაყოფილება სამინისტროსათვის და სამინისტროც ამ შემთხვევაში სამსახურს თავს ანებებდა, მაგრამ ეხლა როგორ მოქცეულიყო სამინისტრო, არ იცოდა. გარდასწყვიტა პირველსავე შემთხვევაში პარლამენტს დაეკითხოს და მისი გარდაწყვეტილების თანხმად მოიქცეს. 1 თებერვალს პარლამენტის სხდომაზედ დეპუტატი პამსი შეეხო ამ საგანს და ბურჟუამაც მოითხოვა ეს საგანი დაუყოვნებლივ განხილულ იქმნეს. პამსმა დიდის ირონიით მოიხსენა სენატის მოქმედება, მრავალი სამართლიანი შენიშვნა წარმოადგინა და აღტაცებაც გამოიწვია დეპუტატთა შორის. კამათობის შემდეგ ლეველმა, ცენტრის წარმომადგენელმა, ითხოვა, რომ პირდაპირ მორიგ საქმეების განხილვას შევუდგეთო. ბურჟუა ამაზედ არ დასთანხმდა და პარლამენტიც პირველ მინისტრს დაეთანხმა (341 ხმით 222 წინააღმდეგ). შემდეგ 346 ხმის უმეტესობით 43

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ გამოუცხადა სრული ნდობა ღ. ქებით მოიხსენია მთავრობის სიმტკიცე „სამხრეთის რკინის გზების“ საქმეებში და საზოგადოდ ის ენერგია, რომელსაც იჩენს სამინისტრო მისგან აღთქმულის რეფორმების განხორციელებაშიო, იმ რეფორმების, რომელსაც მოუთმენლად ელის ქვეყანაო.

სენატი მაინც არ დაწყნარდა და ერთს სხდომაზედ სენატორმა მონისმა (იმავემ, რომელმაც უწინდელს სხდომაზე ილაპარაკა სამინისტროს წინააღმდეგ) განაცხადა, რომ რამპლერმა, სამსახურიდამ დათხოვის შემდეგ, რესპუბლიკის პროკურორს განუცხადა წერილობითი პროტესტიო. რიკარი კი გვარწმუნებდა: მე დავეკითხე პროკურორს და არავითარი მაგის მსგავსი მას არ მიულიაო. მონისმა საშინელის ურიკო სიტყვებით მოიხსენია მთავრობა და შეურაცხყოფა მიაყენა მას. მინისტრები იქვე იყვნენ და რამდენჯერმე (ფინანსთა მინისტრმა, ზღვათა მინისტრმა, გარეშე საქმეთა მინისტრმა) სთხოვეს თავმჯდომარეს ლუბეს ორატორი შეეჩერებინა, მაგრამ ლუბე სდუმდა ⸗ არავითარს ყურადღებას არ აქცევდა მთავრობის წარმომადგენლების თხოვნას. ბოლოს სენატი მორიგი საქმეების განხილვას შეუდგა. ამ საქმეს მაშინ დაუბრუნდებით, როცა მონისი დოკუმენტებს წარმოგვიდგენსო. 3 თებერვალს მომხდარს „სხდომაზედ სენატს 139 ხმის უმეტესობით 70-ის წინააღმდეგ კვლავ გამოუცხადებია თავისი უკმაყოფილება სამინისტროსათვის. მთავრობამ გადასწყვიტა კვლავ მიმართოს პარლამენტს. როგორც 10 თებერვლის დეპეშა გვაუწყებს პარლამენტმა 309 ხმის უმეტესობით 185 წინააღმდეგ ისევ გამოუცხადა თავისი ნდობა სამინისტროს.

გერმანია. 1 თებერვალს, პარლამენტს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი გერმანიის მთავრობის გარეშე პოლიტიკის შესახებ. საზოგადოდ კმაყოფილნი არიან მთავრობის მოქმედებით ამ საგანში, მაგრამ მაინც ზოგიერთი შენიშვნა მისცეს. ტრანსვაალის შესახებ გერმანიის მთავრობის მოქმედება ყველამ მოიწონა და რიხტერმა (თავისუფალ მოაზრეთა წარმომადგენელმა) ისიც-კი სთქვა, — იმპერატორის დეპეშამ მთელი ერის განწყობილება გამოხატაო, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა მოქცეულიყო. ეხლა მადლობა ღმერთს ინგლისი დაწყნარდა და ჩვენცაო. მე მგონიაო ამბობს ავტორი, რომ ჩვენი და ინგლისის ინტერესები ყოველთვის დაკავშირებული ყოფილა ერთმანეთთანაო. თუმცა შინაგან საქმეში წინააღმდეგი ვიყავი ბისმარკის, მაგრამ გარეშე პოლიტიკაში კი მისი გამჭრიახობის თაყვანისმცემელი ვარ. და აი სწორედ ისიც ამ აზრის იყო, რომ ინგლისი და გერმანია ყოველთვის ერთად უნდა მოქმედობდესო. ცოტა რამ უკმაყოფილება ვერასოდეს ვერ შეარყევს ჩვენის კულტურულის და პოლიტიკურის ინტერესების თანხმობას, ინგლისი და გერმანია არის გარანტია მშვიდობიანობისა ევროპაშიო. სოციალისტთა დეპუტატებსაც და მაიორს ბებელს, რიხტერზედ კიდევ უფრო საჭიროდ მიაჩნიათ ინგლისთან კავშირის განუწყვეტლობა.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲓᲐᲛ

ამოკრებილი ამბები.

— ეხლახან არაბეთში უპოვიათ, როგორც იუწყება ბუნების-მეტყველი პულგრაფი ერთი რაღაც მცენარე, რომელიც ადამიანს მოჰგვრის თურმე უმიზეზო სიცილს. იგი პატარა ჯაგასავით არის და ძალიან მწვანე ფოთლები აქვს. ეს ჯაგი ისხამს თურმე ხილად შავ პატარა მარცვლებს, ორსა ანუ სამს; ამ მარცვლებში არის იმისთანა რაღაცა, რომელიც სიცილის მომგვრელია. წვენი ხილია ტკბილია და ოპიუმს მოგაგონებთ. ხილსახმობენ, მერე ფხვნიან და ფხვნილს ჰხმარობენ, ოღონდ ერთ ჯერზე ძალიან ცოტას. პულგრაფი ამბობს, რომ მე ვცადე რა ზედმოქმედება აქვს ამ ფხვნილს ადამიანზეო. საკმაოა თურმე რასაც ორი თითი აიღებს, იმოდენა ფხვნილი ჩაყლაპოს კაცმაო და მაშინვე ერთი ისეთი უმიზეზო სიცილი აუტყდება, რომ ბევრიც ეცადოს ვერ შეიმაგრებსო. მხიარულება თან-და-თან ემატებაო ადამიანს, ამბობს იგი: ადამიანი ამასთან მოჰყვება თურმე რბენას, ხტომას, თამაშობას, მღერას და ამავე დროს ხარხარებს და იცინისო. ეს ამბავი ერთ საათამდე გასწევს ხოლმეო და მას შემდეგ კაცი დუნდება და შტერდება და ეძლევა ხანგრძლივ ძილსაო. როცა გაიღვიძებენ, აღარა ახსოვთ-რაო რა მოხდა ძილის წინ. (ᲗᲐᲘ. ᲘᲚ.)

— კარგა ხანია მოგონილი იყო ერთგვარი მანქანა, რომელსაც ბიჯის-საზომი (шагомѣръ) ჰქვიან. ის მანქანა აჩვენებს რამდენს ხანში რამდენი ბიჯი გადაგიდგამთ და ამ გზით ცოტად თუ ბევრად შეიტყობდით რამდენი მანძილი გაგივლიათ. ძალიან გამოსადეგია ეს მანქანა, მაგალითებრ, თუ გნებავთ შეიტყოთ ზომა, ვთქვათ, მიწისა. ეგ მანქანა საათის მზგავსია, ჩაიდებთ უბეში და რომელსამე მხარეს მიწისას გაივლით. მანქანის ისარი გაჩვენებთ რამდენი ბიჯი გადაგიდგამთ გავლილ მანძილზე. გაიზომამთ ბიჯს და შეიტყობთ ცოტად თუ ბევრად დაახლოებით რამდენი ადლია მიწა იმ მხრივ, საცა გაიარეთ. ერთი დიდი წუნი ამ მანქანისა ის იყო, რომ იგი ერთნაირად ჰნიშნავდა დიდს ბიჯსა და პატარასა და ამის გამო გამოცნობა მისით მანძილისა უფრო საგულვებელი იყო, ვიდრე ნამდვილი. ეხლა ეს წუნი, ანუ ნაკლი მოუშორებიათ თავიდამ. ეხლა ისე დაუსრულებიათ ეს მანქანა, რომ არამც თუ სთვლის გადადგმულს ბიჯსა, არამედ გატყობინებთ რა ზომის ბიჯი გადაგიდგამთ. მოგახსენებთ, იგი მანქანა სწორედ უბეში სატარებელ საათის მაგვარია შუათანა ზომისა. 50 ვერსტის მანძილამდე აჩვენებს რამდენი ბიჯია და რა ზომისაა თითოს ბიჯი. (ნ.)

— თურქისტანში და სემირეჩიაში, რომელნიც ძალიან უწყლო ადგილებია, მოჰყავთ ერთნაირი პური ძალიან ამტანი გოლვისა. ამ პურსა ჰქვიან „ჩულ-ბიდაი“, ესე იგი, მშრალის-პურია. ძალიან კარგად იტანს თურმე გოლვას, ასე, რომ საცა უწყლოობით არა გამოსადეგი მცენარე არა ჰხარობს, იქ ეს პური კარგად თურმე მოდის ⸗ სულაც არ ნდომობს რწყვასა. საჭიროა მხოლოდ ამის დათესა პირველ გაზაფხულზევე, მინამ მიწა სველია და ნესტიანი. ნესტი საჭიროა თურმე მინამ ამოვა და გაზაფხულზე ხომ საკმაოა ნესტი მიწისა. მერე რაკი ამოვა და აჯეჯილდება ერთი ცვარი წყალიც რომ არ მოხვდეს, მაინც ნამუშავარი არა ფუჭდება და თუ დაჯეჯილებიდამ მოსავლამდე ორჯელ მაინც ცოტაოდენი დაინამ წვიმისაგან, მაშინ ხომ კოდს თესლზე 12 და 15 კოდს იძლევაო. ცუდი არ იქნება, რომ ჩვენებურებმა იმ ადგილებისათვის, საცა ურწყავი მამულია, ეს პური დაიბარონ სათესლედ. იმედია, რომ აქაური სამეურნეო საზოგადოება ამაში ყველას ხელს შეუწყობს, ოღონდ მიჰმართოს ვინმემ. (ნ)

შემოწირულება.

ამასთანავე გაახლებთ ოც და-თოთხმეტ მანეთს, შეკრებილს რკინის გზაზედ მოსამსახურეთა შორის, ნიკოლოზ სოლომონის ძის ზალდასტანიშვილის დახმარებით რაფიელ ერისთავის ფონდის მისამატებლად. გთხოვთ ფული გარდასცეთ კუთვნილებისამებრ და გაზეთში აღნიშნოთ სახელი და გვარი შემომწირველთა: სამ-სამი მანეთი: გარდენ ყიფიანმა და ილიკო ჰიპინაძემ; ორი მანეთი ნიკოლოზ ზალდასტანიშვილმა; თითო მანეთი: ივანე მაჰავარიანმა, ივანე კიკნაძემ, ილიკო ტატიშვილმა, ოქროპირ აბაშიძემ, ალექსანდრე ბაქრაძემ, იაკინთე ცქიტიშვილმა, სპირიდონ გუგუშვილმა, კოსტა ვაჩეიშვილმა, გიორგი ბირიუკოვმა, ვლადიმერ მათიკაშვილმა, კოსტანტინე შენგელიამ, იოსებ ღოღობერიძემ, მალხაზ ჩხეიძემ, ერმილე ჭილაძემ, ვასილ გოგავამ, ალექსანდრე ღულაძემ, სიმონ ქვარიანმა, ბესარიონ ბაღდავაძემ, ვიქტორ ჯაფარიძემ, იოსებ ფანცულაიამ და კირილე ხარაძემ; ათ-ათი შაური: გიორგი ბენაშვილმა, ილარიონ ჭანტურიამ, ბესარიონ ცაგურიამ, არსენ ნაცვლიშვილმა, ალექსანდრე დავიდოვმა, ისიდორე ნიქაბაძემ, მალხაზ რიყამაძემ და ისიდორე ქობულიამ.

ილ. ჰიპინაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲜᲘ.

—

თავადნი მიქელაძენი. იმერეთის მეფის სოლომონ II-ის 1 ⸗ აპრილს 1793 წ. გუჯარში დაკით ზურაბის ძე მიქელაძე თავადად არის წოდებული.

6, დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულს იმერეთის თავადთა სოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი მიქელაძენი და ჩამოთვლილია 73 ოჯახი.

უმართებლესის სენატის დადგენილებით 2 მარტს 1881 წ. და 30 მაისს 1883 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი მიქელაძენი: ალექსანდრე ბერეს ძე ალმასხანი და დიმიტრი ოტიას ძენი, ლევან და ოტია გრიგოლას ძენი, დიმიტრი და ბროკობი კლადიმირ სიკოს ძენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 თებერვალი.

პეტერბურგი. 11 თებერვალს ანიჩკოვის სასახლის ეკლესიაში წირვა მოისმინეს მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ: ხელმწიფე იმპერატორმა, იმპერატრიცებმა მარიამ თეოდორეს ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, აგრეთვე დიდმა მთავრებმა და დიდმა მთავრინებმა.

12 თებერვალს იმპერატორმა და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერეს სამეცნიერო აკადემიაში პეტერბურგის მხატვართა საზოგადოების გამოფენა.

12 თებერვალს პეტერბურგს ჩამოვიდა გერმანიის ელჩად ნამყოფი გენერალი ვერდერი.

პარისი. პარლამენტმა 502 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 29 ხმისა შეიწყნარა პროექტი, რომლით გადაიდვა საჭირო კრედიტი მოსკოვში გვარგვინის კურთხევაზე გასაგზავნ ელჩებისათვის.

ათინა. დღეს დიდის ამბით გამოასვენეს გვამი გარდაცვალებულის ადმირალის კოლოგერასისა. დაესწრო გამოსვენებას სამეფო ოჯახიც.

ბელგრადი. კვირასაც მოხდა მანიფესტაციები რუსეთისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. დილას პაშიჩმა მოიწვია საუზმეზე რადიკალთა პარტიის წინამძღოლნი; საღამოს დიდი ნადიმი ლიბერალებმა გამართეს. დალეულ იქმნა რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო. ორივე წვეულობაზე კომაროვი საპატიო სტუმრად იყო. შემდეგ კომაროვი მეფემ და დედოფალმაც ინახულეს. კომაროვს ებოძა ორდენი «ტაკოვა» პირველის ხარისხისა.

ლონდონი. ჯემსონის ლაშქრის ჯარის-კაცთა ნაწილი დღეს ჩამოვიდა ლონდონს. რკინის გზის სადგურზე დიდძალი საზოგადოება შეგროვდა და ჯარის-კაცთ თანაგრძნობით მიეგება. ჯემსონსა და ოფიცრებს ხვალ მოელიან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ს. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ს. მ. შუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ს. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ს. მ. შუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ს. ბ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ს. ბ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

კბილის ექიმი ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—75).

ᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲨᲘ ᲫᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ.

ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდმარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ **საჭმელში სახმარებლად:** შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაური (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერად; გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების **საპონი:** ტყვიისა და მარმარილოსი.

მსურველთ უნდა მოიკითხონ მხოლოდ: 1) კავკასიის სააფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და 2) საკუთარს სავაჭრო მაღაზიებში: ა) მიხეილის ქუჩა, სახლი ყარალოვისა ვორონცოვის ძეგლთან; ბ) იარმუკაზედ, ბულდანოვის სახლი; გ) თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა; დ) ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და მებურნოთოვის სახლში, ოლოლას ქუჩაზედ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲧᲘᲓᲕᲐ შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი. საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის საკვები **ᲩᲔᲜᲩᲝ.**

(10—13—2)

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ აუწყებს თავისს წევრთ, რომ კვირას, 17 მარტს ამა წლისას, დილის 10 საათზედ დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება, რომელიც ქალაქის გამგეობის სადგომში იქნება.

1) განსახილველად და დასამტკიცებლად ანგარიშისა 1895 წლისა;

2) 1896 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დასამტკიცებლად;

3) საბჭოს ოთხის დეპუტატის ამოსარჩევად იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ;

4) ამოსარჩევად გამგეობის ორის დირექტორისა შემდეგის სამის წლისათვის, რადგანაც ძველებს ვადა გაუვიდათ;

5) სარევიზიო კომისიის სამის წევრის ამოსარჩევად და მათის სამის კანდიდატისა. საზოგადოების გამგეობა სთხოვს ბ ნთ წევრებს, რომელთაც ამ კრებაზედ რწმუნების ქაღალდები ექნებათ ხმის უფლებაზე, თანახმად საზოგადოების წესდების მე-36 მუხლისა, რწმუნების ქაღალდები სამის დღით ადრე წარადგინონ გამგეობაში, ვიდრე საზოგადო კრების სხდომები დაიწყებოდეს, ე. ი. არა უგვიანეს ამა წლის 13 მარტისა.

(3—6—1).

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲣᲠᲘ

ბორნო-ციმოეულის საპონი

გ. ფ. ᲘᲣᲠᲒᲔᲜᲡᲘᲡᲐ

აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეტებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მადლის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპოტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—6)

გამოვიდა და ისყიდება

«ᲛᲝᲡᲙᲝ ᲮᲝᲜᲔᲚᲘ ⸗ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘᲐᲜᲘ»

წერილი მ. ჯანაშვილისა.

(60 გვ.. ფასი 10 კაპ.)

Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Февраля 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.